საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №551
2013 წლის 7 ივნისი

ქ. თბილისი

,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაცემი სალიცენზიო და სანებართვო მოწმობის ფორმების, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 26 აგვისტოს №481 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაცემი სალიცენზიო და სანებართვო მოწმობის ფორმების, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 26 აგვისტოს №481 ბრძანებით (სსმ III, 27.08.2008, N124, მუხ.1279) დამტკიცებულ დანართ №3-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების შევსება წარმოებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა დეპარტამენტში.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **თამარ ქაროსანიძე**